

საიღან ჩნდება დამატებითი საბიუჯეტო შემოსავლები

გაზეთი “რეზონანსი” – 25 ივლისი, № 200, 2008

პარლამენტი ბიუჯეტში ცვლილებებს წამდაუწუმ ახორციელებს. მთავრობაში აცხადებენ, რომ დამატებითი შემოსავლების მობილიზება ეკონომიკური ეფექტით არის განპირობებული. ექსპერტები ამგვარ ახსნა-განმარტებას მართებულად არ მიიჩნევენ, ვინაიდან ქვეყნის ეკონომიკა წინ ისე არ მიიწევს, რომ სახელმწიფომ დაუგეგმავი დამატებითი საგადასახადო შემოსავლები მიიღოს.

დამოუკიდებელი ექსპერტის, ეკონომიკურ მეცნირებათა დოქტორის, პროფესორ ლადო პაპავას განცხადებით, ამის მიზეზი ოლიგერ-ტანცის ეფექტია. კერძოდ, მთავრობა გაზრდილი ინფლაციის პირობებში დამატებითი შემოსავლების მიღებას ახერხებს, ხოლო თავად ეს შემოსავლები მაღალი ინფლაციის გამო გაუფასურებულია. ასე რომ, თუ ამ შემოსავლების არასწორი განაწილება მოხდება, ინფლაცია და შემოსავლები ისევ გაიზრდება, საბიუჯეტო ცვლილება კი კვლავაც აუცილებელი იქნება. მერე ისევ ინფლაცია გაიზრდება და საბოლოოდ ქვეყანაში არსებული სოციალური ფონი უფრო დამძიმდება.

მაინც რა რესურსებით ახერხებს მთავრობა დამატებითი შემოსავლების მობილიზებას და როგორ ხდება ამ თანხების განაწილება „ჩვენი ბიუჯეტი“ ლადო პაპავას ესაუბრა.

„რ“: რა რესურსით მოახერხა მთავრობამ დამატებითი შემოსავლების მობილიზება?

ლ.პ.: ამაზე რომ გიპასუხოთ, წინა ისტორია უნდა გავიხსენოთ. „ვარდების რევოლუციის“ წინ ქვეყანაში საბიუჯეტო კრიზისი იყო. საგადასახადო შემოსავლების დაგეგმილი მაჩვენებლების მობილიზება ვერ ხერხდებოდა. რევოლუციის შემდეგ, 2005 წელს საგადასახადო კოდექსის შეცვლამდე,

ადმინისტრირების გამკაცრებით საგადასახადო შემოსავლები ორჯერ გაიზარდა. აქედან გამომდინარე, მთავრობამ დაგროვილი საპენსიო და სახელფასო დავალიანებების დაფარვა დაიწყო.

ამ შემთხვევაში ჩემთვის ეს ისტორია იმით არის საინტერესო, რომ 2004 წლის საგადასახადო შემოსავლების ზრდის ეფექტი, მხოლოდ და მხოლოდ, ადმინისტრირების რესურსის გამოყენება იყო.

2005 წელს ახალი საგადასახადო კოდექსი ამოქმედდა, სადაც საგადასახადო განაკვეთები მნიშვნელოვნად შემცირდა. სოციალური გადასახადი 32%-დან 20%-ზე დავიდა. საშემოსავლო გადასახადი პროგრესიული იყო და პროპორციული გახდა. მაქსიმალური თუ იყო 20%, გახდა - 12%. 21 სხვადასხვა სახეობის გადასახადი გაერთიანდა, ზოგი გაუქმდა და დავიდა 7-ზე. ამ დროიდან მოყოლებული საგადასახადო ზრდის მთავარი რესურსი საგადასახადო პოლიტიკაში განხორციელებული ცვლილება გახდა.

ამის შემდეგ, საგადასახადო პოლიტიკაში კიდევ ერთი ცვლილება განხორციელდა. სოციალური გადასახადი გაუქმდა და საშემოსავლო გადასახადი 25%-მდე გაიზარდა. ეს კი ის ცვლილება იყო, რომელსაც პოზიტიურად ნამდვილად ვერ შევაფასებ. ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს ცვლილება საგადასახადო შემოსავლების ზრდას უპირობდ უწყობს ხელს.

საგადასახადო ადმინისტრირების რესურსი უკვე ამოწურულია, ურჩი გადამხდელები გადასახადის გადახდას მიეჩვივნენ. ასე რომ, ამ რესურსით საგადასახადო შემოსავლების ზრდა დღეს უკვე შეუძლებელია. რჩება ერთი ფაქტორი. მთავრობაში ამბობენ, რომ შემოსავლების ზრდა ეკონომიკურმა ზრდამ გამოიწვია. ამასთან დაკავშირებით საკმაოდ სერიოზული შენიშვნა მაქვს. ჯერ ერთი მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპები ხელოვნურადაა გაზდილი. ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა არის, მაგრამ არც ისე მაღალი, როგორც სტატისტიკის დეპარტამენტს აქვეყნებინებენ.

იმ შემთხვევაშიც თუ კი სამთავრობო სტატისტიკას დაუჯერებთ, მაშინაც კი მთავრობისეული არგუმენტები ნაკლებად დამაჯერებელია. 2008 წლის ბიუჯეტით მთლიანი შიდა პროდუქტის 7,5%-იანი ზრდით დაიგეგმა. ამჯერად, ცვლილებების შედეგად აცხადებენ, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის

ზრდის ტემპი 9% იქნება. მაშასადამე მთავრობა დაგეგმილთან შედარებით მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას ითვალისწინებს 1,4%-ით (ანუ 109% უნდა გავყოთ 107,5%-ზე და გავამრავლოთ 100%-ზე). თუ ავიღებთ იმ საგადასახადო შემოსავლების რეალურ ზრდას, რაც მთავრობამ პარლამენტს დასამტკიცებლად შესთავაზა, ეს შეადგენს დამტკიცებული ბაზის 4%-ს. ასე, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი 1,4%-ა, მაშინ როდესაც საგადასახადო შემოსავლების ზრდას კი გეგმავენ 4%-ის დონეზე. აშკარაა, რომ საგადასახადო შემოსავლების ზრდის ტემპი მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპს აღემატება.

საიდან ჩნდება დამატებითი შემოსავლები? ამაზე ყველა დუმს. ეს არის, ეკონომისტებისთვის ცნობილი, ე. წ. ოლივერ-ტანცის ეფექტი, რომლის თანახმადაც, თუ ქვეყანაში მაღალი ინფლაციაა საგადასახადო შემოსავლები იზრდება, ანუ მაღალი ინფლაციის გამო ბიუჯეტში უფრო მეტი გადასახადების მობილიზება ხდება და თანაც ეს შემოსავლები მაღალი ინფლაციის გამო გაუფასურებულია.

აქედან გამომდინარე, დღეს, საქართველოში ბიუჯეტის ზრდის რეალური წყარო მაღალი ინფლაციაა. შემოსავლების ზრდა არ ნიშნავს, რომ მთავრობა კარგად მუშაობს, პირიქით ამ მუშაობის შედეგად ქვეყანაში არსებობს მაღალი ინფლაცია, რის შედეგადაც ბიუჯეტში მაღალ შემოსავლებს იღებს. ხოლო თუ ამ შემოსავლებს ისე გაანაწილებს, რომ ინფლაციის გაზრდას ხელს შეუწყობს, კიდევ მაღალ შემოსავლებს მიიღებს. ნუ გაგვიკვირდება, თუ ბიუჯეტში კორექტირების თემას კიდევ მიუბრუნდებით.

„რ“: რამდენად სწორად და გამჭირვალედ ხდება დამატებითი შემოსავლების განაწილება?

ლ.პ: ჩვენ ამის დანახვა ბიუჯეტის პარამენტრებიდან და მისი თანმხლები განმარტებითი ბარათიდან უნდა შეგვეძლოს. ეს დოკუმენტი კი ამ კითხვებზე ამომწურავ პასუხს არ იძლევა. ბუნებრივია, შემოსავლების განაწილებას გამჭირვალეობა აკლია.

ამიტომ, რამდენად სწორად არის განაწილებული დამატებითი შემოსავლები, ამ კითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემა გამჭირდება.

მთავრობა თანხას მის წინაშე არსებული პრიორიტეტებიდან გამომდინარე ანაწილებს, თუმცა პრიორიტეტები ყოველთვის მკაფიოდ ჩამოყალიბებული არ არის.

ერთადერთი, რაც თვალში მეცა პარლამენტის, თითქმის, 1,5 მილიონი ლარით გაზრდილი დაფინანსებაა. არადა, 235-წევრიანი პარლამენტი 150 წევრამდე შეიკვეცა, აქედან 12 წევრი პარლამენტში არ შევიდა და შედეგად 138 წევრი გვყავს, ანუ დეპუტატების თითქმის 100-კაციანი შემცირება მოხდა. პარლამენტის ბიუჯეტი მწირად დაგეგმილი ისედაც არ იყო, რომ ამჟამინდელი ზრდას რაიმე ახსნა ჰქონდეს...

მაკა ხარაზიშვილი